




საქართველოს მთავრობა



№1 (283)

1 თებერვალი, ორშაბათი, 2021 წელი

-კორონავირუსი -

ჩვენს მუნიციპალიტეტში ორიათასამდე ინფიცირებული, 1600 - გამოჯანმრთელებული და 35 გარდაცვლილი

ერთი წელი გავიდა, რაც კაცობრიობა სრულიად ახალმა მოვლენამ, რომელსაც „კოვიდ-19“ ეწოდა, ისეთი გამოწვევების წინაშე დაყენა, რომელიც პლანეტას შეა საუკუნეების შემდეგ ადარ უნახავს. თუმცა, არა - მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ე.წ. „ესაპანაზ“ შეუტია მსოფლიოს და მილიონობით სიცოცხლეს წაიღო. ახლა კი, აგერ, ერთი წელია გებრძვით ამ საშინელ ვირუსს



და მიუხედავად იმისა, რომ მისი საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო, ჯერ კიდევ დადასტურებულად ჭირს პროგნოზის გაცემება, როდის დასრულდება ვირუსის შემოტევა. მილიონზე მეტი დაინფიცირებული და ორ მილიონზე მეტი გარდაცვლილი - ასეთია დღეს მსოფლიო სტატისტიკა. მართალია, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია უკვე იმედიანადა და ამბობს კიდეც, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე გამოწნდა, მაგრამ არც იმას გამორიცხავენ, რომ ე.წ. „მესამე ტალღაც“ აგორდეს.

ჩვენი ხელისუფლებისა და მართლაც გმირი ეპიდემიოლოგების ერთობლივმა მცდელობამ საქართველო ამ ვირუსის პირველ ტალღას გადაარჩინა. უფრო მეტიც: ეს პატარა ქვეყანა მაგალითიც კი გახდა მთელი მსოფლიოსთვის, თუ როგორ უნდა ებრძოლოთ ამ ვირუსის წინააღმდეგ. სამწერაოდ, ვირუსის მეორე ტალღა უფრო მძლავრი შეტევით გამოირჩია, ამას დაემატა მასის ნიშილისტური განწყობა და შედეგიც მივიღეთ - ათასებით დაინფიცირებული და ათეულობით გარდაცვლილი. ჩვენი მუნიციპალიტეტი თითქმის შემოღომამდე ინარჩუნებდა „მწვანე ზონის“ სტატუსს, თუ არ ჩავთვლით სოფელ ხიდისყერში დაფიქსირებულ ერთადერთ შემთხვევას, მაგრამ სექტემბრიდან ვითარება.

-სატლა- გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა - სწავლა დაიწყო

დღეიდან სასწავლო პროცესი სკოლებში დიდი ქალაქების გარდა, საკლასო ოთახებში წარიმართება. თუ როგორ ხვდება ჩვენი მუნიციპალიტეტი და საგანმანათლებლო რესურსცენტრი სწავლის დასაწყისს, როგორ იცავს უსაფრთხოების ნორმებს, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე საუბრობს:

- პირველი თებერვლიდან, როგორ რეუიმში წარიმართება სასწავლო პროცესი ჩვენს მუნიციპალიტეტში?

- საქართველოს პრემიერ-მინისტრობა არსებული საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის უველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლო პროცესი 2021 წლის 1 თებერვლიდან უნდა გაგრძელდეს პირისპირ სწავლების რეჟიმში, საკლასო ოთახებში. მიუხედავად ამისა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემუშავებული აქც სარეკომენდაციო სცენარები მოსწავლებისა და მათი შშობლების ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით, რომელიც დაიცავს თითოეულ მოსწავლის განათლების უფლებას თანასწორად, ამავროულად, დაცული იქნება მასწავლებელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. კერძოდ:

1. იმ შემთხვევაში, თუ როგორიმე კლასის/კლასების მოსწავლეთა და ამ კლასის/კლასების მასწავლებელთა სრული შემადგენლობა წერილობით დაადასტურებს თანხმობას და მზაობას სინქრონული/ასინქრონული სწავლების მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია ეს კონკრეტული კლასი/კლასები გადავიდნენ სინქრონულ/ასინქრონულ სწავლების რეჟიმზე. დანარჩენი საკლასო ჯგუფებისთვის სკოლა დასწრებით სწავლა

რადიკალურად შეიცვალა. რა ვითარებაა დღეს ამ მხრივ? ამ კითხვაზე, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი დავით ჩიქვანი გვპასუხობს: დღეისათვის, აღნიშნავთ საუბარში, -მუნიციპალიტეტში ორიათასამდე ინფიცირების შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან აქტიური 212-ია, გარდაცვლილი კი 35. გამოჯანმრთელებულთა რიცხვი 1600-ა, ვირუსის დიაგნოსტირება ტარდება როგორც ჩვენთან, ასევე რევერალურ საავადმყოფში, დაიგნოსტირება ხდება როგორც სწრაფი, მარტივი ტესტით (ანტიგენზე), ასევე კ.წ. „პისიარ“ ტესტით, რომელიც ლუგარის ლაბორატორიაში იგზავნება. ორივე შემთხვევაში ცდომილება, თითქმის მინიმუმადევა დაყვანილი. განასაკუთრებით, თუ პაციენტი დროულად მოვა (თუ აქც სიმპტომი, ან კონტაქტით ხუთ დღეზე ნაკლები არ არის გასული), აღსანიშნავია, რომ დაიგნოსტირება უფასოა. მთავრობის №975 განკარგულებით, გეგმიურ ტესტირებას ექვემდებარება (14 დღეში ერთხელ) შესს თანამშრომლები, ბავშვია სახლების მომსახურე პერსონალი, სასულიერო პირები, დიალიზზე მყოფი პაციენტები. დღეიდან მათ რიცხვს პედაგოგებიც დაემატებიან, ამ ჯგუფების დაიგნოსტირება „პისიარ“ ტესტით ხდება. სწრაფ და მარტივ დაიგნოსტირებას კი ტაქსის, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, სამუშაოები ბაზრის მუშაკები ექვემდებარებიან. ნებისმიერი პაციენტის მონაცემები, რომელსაც დადებითი ასუხები ამოუვა, იგზავნება ერთიან ბაზაში და შედის სპეციალურ პროგრამაში. მას იმ დღესვე უკავშირდება ოჯახის ექიმი და გადადის მისი მკურნალობის ქვეშ. გართულების შემთხვევაში კი ხდება პაციენტის პოსიტივური ტესტით. დღეისათვის, კოვიდპაციენტებს ჩვენს მუნიციპალიტეტში „გორმედი“ და რეფერალური საავადმყოფოები ემსახურებიან, სადაც მათვის შესაბამისი პაპარატურით აღჭურვილი სპეციალური განყოფილებებია მოწყობილი. სხვათა შორის, სასიარულოა, რომ ვირუსის პიგბა გადაიარა და ამის დასტური თუნდაც „გორიმედის“ ფაქტია, სადაც ორი განყოფილებიდან მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს, რადგან პაციენტების რიცხვმა იყდო თუმცა ეს სრულებითაც არ გაძლიერებს დამშვიდების უფლებას და ვიდრე ვაქცინაცია დაიწყება, კიდევ ერთხელ მოუწოდებთ მოსახლეობას გამოიხინონ თვითშეგნება. დაიცვა დისტანცია, ატარონ პირბადე და მოერიდონ დიდ თავირილობებს-აღნიშნავთ დასასრულს ბატონმა დავითმა.



ბას აგრძელებს;

2. კონკრეტული კლასის/კლასების სინქრონულ/ასინქრონულ სწავლების გადასახადვანი შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ სურვილს და მზაობას გამოტვამს აღნიშნული კლასის უფლებას გადასახლავთ და ამავროულად, დაცული იქნება მასწავლებელთა უფლებას თანასწორად, ამავროულად, დაცული იქნება მასწავლებელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. კერძოდ:

(დასასრული II გვერდზე)

- სკოლა -

გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა - სწავლა დაიწყო

(დასასრული)

3. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა დაბალი დასწრების გამო, მშობლების მოთხოვნით გადაწყვეტის სკოლის სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანას, სკოლა დასაბუთებული შუამდგომლობით სემესტრის ბოლომდე ან/და სხვა კონკრეტული ვადის მთითებით მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლის დასტანციურ სწავლებაზე გადაყვანასთან დაკავშირდით;

4. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში მოსწავლეს, მასწავლებელს, ადმინისტრაციის წარმომადგენელს, ტექნიკურ პერსონალს ან მათ ოჯახის წევრს/კონტაქტში მყოფ პირს დაუდასტურდა კოვიდი, ასეთ შემთხვევაში, სკოლა მოქმედებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაცვითა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-

227/ო ბრძანების

37-ე დანართით
დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კლასში/კლასებში რჩქინან მოსწავლები, რომელთაც არ აქვთ სურვილი გადავიდნენ სინკრონულ/ასინკრონულ სწავლებაზე, სკოლა დეტალურად შეისწავლის

უმცირესობაში მყოფ მოსწავლეთა საჭირეობებს და იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს ინტერნეტთან ან შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობასთან წვდომის პროცესში, სკოლამ მოსწავლისთვის/ზოსწავლებისთვის უნდა დააორგანიზოს კველი საგანში „მინიმუმ“ კვირაში ერთი საკონსულტაციო შეხვედრა. გამონაკვლისის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სატელეფონო კომუნიკაცია, ტელესკოლა და სხვა ბეჭდური რესურსები.

5. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მასწავლებელი/მასწავლებლები ცხოვრობს სკოლიდან მოშორებით და შეზღუდვების დაწესებამდე გადაადგილებისთვის სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მიზანშეწონილია განხილულ იქნას სხვადასხვა შესაძლებლობა:

ა) შემოღებულ იქნეს კონკრეტული საგნის სწავლება დისტანციურად სინკრონული/ასინკრონული სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს საგაკვთილო ცხრილის ცვლილება და გაკვეთილის დაგეგმვა დღის სხვა მონაკვეთში. ასევე, შესაძლებელია იმ მოსწავლეებმა, რომლებსაც აქვთ ინტერნეტთან წვდომის ან შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის პროცესში, გაპვეთილებზე დასასწრებად გამოიყენოს სკოლის ისტ-ის კაბინეტი;

ბ) სკოლის მიერ დაქირავებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა სკოლაში მიყვანასა და უკან დაბრუნებას. თუ სკოლას აღნიშნული მომსახურების შესასყიდად არ აქვს ფინანსური რესურსი, სარჯების დაფინანსება მოხდება სამნისტროს მიერ კანონმდებლობით დაგენილი წესით;

გ) შესაძლებელია მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნებულ იქნეს მასწავლებელთა გადაადგილებაც;

დ) თუ ზემოთ აღნიშნულიან, სკოლა ვერ სარგებლობს ვერცერთი შესაძლებლობით, სკოლისა და საგანმანათლებლო რესურსების შეჯერებული პოზიციის საფუძველზე, შესაძლებელია, სამინისტროს თანხმობით, სკოლა გადავიდეს დისტანციური ტელეკონფერენციული სწავლების მოდელზე;

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსების ცენტრი აქტიურად იყენებს სამინისტროს აღნიშნულ რეკომენდაციებს საჭიროებისამებრ.

- რამდენად მზად არიან სკოლები, სასწავლო პროცესი ძველებურ რეჟიმში წარმართონ?

- ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსების 2020-2021 სასწავლი წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე განახორციელა სკოლებში არსებული მოცემულობების კვლევა ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მზაობის მიმართულებით და შედეგებმა აჩვენა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ან მშობლების განცხადებები არ გახდება სწავლების დისტანციური რეჟიმში გაგრძელების საფუძველი, გველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებება მზადაა სწავლების საკლასო ოთახებში დასაწყებად.

- რა მოსამზადებელი ღონისძიებები გატარდა ამისთვის, რა ტიპის უსაფრთხოების ზომებია მიღებული?

- 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში, რიგ სკოლებში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია, გარდა ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანდაცვის სამინისტროს კველა რეაბილიტაციაში შევასრულებს, რაც დადასტურდა შრომის ინსპექციის შემოწმების შედეგებით. მიმდინარე სემესტრისთვის, რესურსების გადასაცავის ბრძანების პირბადები და სადეზინივექციო კონცენტრატები, რომელიც შეისყიდა სხივის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენერირო. კველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ დაამტკიცა უსაფრთხოების წესი და მოქმედებებ წესში გაწერილი რეგულაციების შესაბამისად, რაც გულისხმობს ინფიცირების რისკის შემცირებას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას:

- როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, ვინ იზრუნებს მოსახლეობის უსაფრთხოებაზე?

- სასწავლო პროცესი წარიმართება ეროვნული სასწავლო გეგმით შესაბამისად შინაარსობრივი თვალსაზრისით, როგორც აქამდე მიმდინარეობდა. მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვის გალდებულება, მუნიციპალიტეტის

მასშტაბით, ჯანდაცვის საზოგადოებრივი ცენტრის პირდაპირი ვალდებულებაა, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სკოლის ადმინისტრაციის, რესურსების მხარდაჭერით და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მონიტორინგით.

- რამდენიმეთვიანი ონლაინ სწავლების შემდეგ, რამდენად მარტივი იქნება სკოლა ჩვეულ რიტმს და სწავლების ფორმას დაუბრუნდეს?

სასწავლო პროცესი 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში განახლდა საკლასო ოთახებში და გამოცდილების გათვალისწინებით, არ ვიქრობ, რომ როგორიც დამოკიდებულია მხოლოდ ეპენეტურ სიტუაციაზე.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურში საქადაქო კულტურის სახლის (ყოფილი ნკინიგბის კლუბის) რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის-ზე დამატებული ქურდამის განმარტებით, სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. პროექტი დარბაზის სრულ მოწყობას ითვალისწინებს. დამოწმებულება ახალი სცენა, სკამები, განათება, მოქანების სისტემები. ინტერიერი მთლიანად შეიცვლება და თანამედროვე სტანდარტებს უპასუხება.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების მეტად განვითარებას, რაც ყველა ხაშურ-დაცვის დალიან მნიშვნელოვანია.

კულტურის სახლის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსდება და მისი ღირებულება 98700 ლარია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის, დავით განმარტებით, კულტურული კულტურული მეტების შემცირებული იყო, ვინაიდან წინა ტერნობრივი გამარჯვებულმა კომპანიამ ვალდებულებებს თავი ვერ გაართვა, რის გამოც, შეუწყდა ხელშექრულება და სასამართლო დავით შემდეგ, დაეკისროს საჯარიმო სანქციები.

ამჯერად, მიმდინარე სამუშაოების დასრულება აპრილის ბოლოს თვეში გათვალისწინებული იმდეს ვიზუალურ ადგილობრივი მეტების განვითარების საფრთხეების აღარ იქნება და ხაშურის მუნიციპალიტეტი კულტურულ ცხოვრების კვლავ აქტიურად შეუდგება, მეტად და კომუნიკაციულ გარემოში.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბზ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29
2020წ.)

12 სექტემბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა რკინიგზის გამგეობის განცხადება რომლითაც მოსახლეობას აუწყებდა, რომ „16 სექტემბრიდამ ახალის გზით ივლის მატარებელი ხაშურსა და ბეჭთაუბანს შორის. ფონისა და წიფის ჰველი სადგური გაუქმდება ხოლო სურამს ცალკე მატარებელი ივლის ხაშურიდამ“.

16 სექტემბერს, სურამის გვირაბის საზემო განსაზღვრული მდგრადი მოყვარეს რესუთის გზათ მინისტრმა ა.ი. ფონ-გუბენარმა, გზატკეცილებისა და საზღვაო გზის დეპარტამენტის დირექტორმა ფადევემა, სახელმწიფო რკინიგზების სამმართველოს უფროსმა პეტროვმა კავკასიის მთავრმართებელმა სა შერემეტევმა, გენერალ-ადიუდანტმა სვიაზოპოლსკ-მირსქმა, თბილისის გუბენარტორმა შერვაშიძემ, ვიცე-გუბენარტორმა ჩაიკოვსკიმ, განჯის გუბენარტორმა ნაკაშიძემ, საარმიო კორპუსის უფროსმა ჭავჭავაძემ, სამოსამართლო პალატის თავმჯდომარევ დ.ს. გორჩაროვმა, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარევ შიკაიგვაძემიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ფრიდემ და სხვებმა. აქეე იუგნენ გვირაბზე მომუშავე ინჟინერები, მუშები და სხვები.

„დღეს 16 სექტემბერს, - წერდა
გაზეთი „ივერია”, - აკურთხეს სურამის
გვირაბი... საგანგებო მატარებელი პირველ
საათზედ მოვიდა სადგურზედ. ამ დროს
სადგურზედ უკვე ბრძანდებოდა მინისტრი,
რომელსაც ის იყო ტყიბულის რკინის
გზის შტო დაეთვალიერებინა და იქმდან
დაბრუნებულიყო. მესამე მატარებელი - მთავარმართებლისა სწორედ ორის ნახევარზედ
მოვიდა და ეპისკოპოსის გაბრიელიც /ქიქოძე - თლუ/ მაშინვე შეუდგა კურთხევას. ეპისკოპოსს
თან ახლდა ბლადოზინები და აგრეთვე ტფილისისა და ქუთასიძამ ორი ხორი იყო მოსული
მგალობელთა. ვიდრე შეუდგებოდა ამ საქმეს, ეპისკოპოსისა გაბრიელმა წარმოთქვა სიტყვა
და დაწერილებით განმარტა მნიშვნელობა რკინის გზისა და გვირაბის გაყვანისა“.

„ჩემი ვრცელების შედეგისამებრ, ამბობდა ეპისკოპოსი გაბრიელი, – ყოველი
სასარგებლო საქმე, თოთოვეული სასარგებლო ნაბიჯი კერძო პირთა იწყება ლოცვით, მით
უმეტეს საჭიროა დათის ვეღრება და ლოცვა იმისთვის საქმის დაწყების და გათავისების დროს
რომელიც სასარგებლო მოქლი სახელმწიფოსათვის. ესითა სურამის გვირაბი, რომელიც
დღეს უნდა ვაკურთხოთ. ამ საქმემ მოითხოვა დიდი ხარჯი და შრომა ხელოვნებისა და
ცოდნისა. ამიტომ საჭიროა მადლობა შეკვეწიროთ უფასო ამისთვის საჭირო და სასარგებლო
საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

მადლობა ღმერთი! კავკასია თანამდებობა უკეთესდება. კავკასიის მთების გულში დაფარული საუნჯე ნელ-ნელა ჩნდება. ამიერკავკასიის მკვიდრთა ცხოვრება ფართოვდება მათი გამბედაობა ძლიერდება. ნაეთი, მარგანეცი, ქვის ნახშირი და მრავალი სხვა მიწის სიმდიდრე დიდ ძალ სიმდიდრეს აძლევს რამოდენიმე ათას კაცს, მაგრამ ყოველივე ამ სიმდიდრეს ფასსა სდებს ერთადერთი რკინის გზა. უიმისოდ ამ სიმდიდრის წალებ-წამოდგა შეუძლებელი იქნებოდა. სწორეთ ამით აისხება დიდი მნიშვნელობა რკინის გზებისა... საზოგადოდ უნდა ვისურვოთ და ვსთხოვოთ ღმერთსა, რომ კავკასიის ამ გარეგან განკარგებასა და ამ გარეგან ცივილიზაციასთან ერთად, ამაღლებულიყოს ქრისტიანული ზნეობაც, რათა უკარგისნი და უსაქმო პირნი, რომელთა რიცხვი დღითიდან მატულობს ჩვენში, ხელს არ უშლიდეს მშრომელ ხალხს, რათა კანონთა აღმასრულებელი მხნედ და სიმკაცრით იცავდნენ მართლმაჯულებელას.”

სიტყვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა შეასრულა სამადლოზელი პარაკლისი.

„საყვარელს ხელმწიფისა და სამეცო სახლის საღლეგრძელოდ, გულ-მხურვალე ლოცვისა და აგრეთვე ახლად გაყვანილ გვირაბის კურთხევის შემდეგ, შეკრებილნი ვართ ამ მცირე სერობაზე და თვით გვირაბის შესავალთან. გულწრფელადა ვმაღლობ ყველას, ვინც კი ინება და ჩვენს დღესასწაულს დაქსწრო. სურამის გვირაბი ყველაზე გრძელი გვირაბია რუსეთში სიგრძით სამი ვერსი და 376 საუკნი და საოცარი შენობად ჩაითვლება, არამც თუ რუსეთში ეკროპაშიც-კი. ამ გვირაბის დამთავრების საქმე მეტად მნელი იყო, რადგან ასაფეოქებელი გაზები და ფხვიერი მიწა ძევრი ხედებოდათ გხად მუშებს. ორას ვატკი ამ გვირაბის ეპონო-მიურ მშენებლობის შესახებ, რადგან ყველა აქ მყოფს ქარგად მოეხსენება, რომ ამ ახლის შენობის წყალობით ამიერ-კავკასიის რკინის გზას უფრო ბევრის საქონლის გადატან-გად-მოტანა შევძლება და ამით ამ მხარეს ბევრს სარგებლობას მოუტანს. ეს სიკეთე გვიწყ-ალობა სურვილისამბრ ჩვენის საყვარელმა ხელმწიფებმ, რომელმაც თავისის უაგგუშეტოების სახლობითურ აქ ყოფნით გააბეჭინება ეს მხარე ამ ორის წლის წინათ”.

შემდეგ წარმოსთხქა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა მექვიდრე ცარეკინისა და სამეფო სახლობისა. ამ სადღეგრძელოს მოჟყვა აღტაცტული „ურას“ ძახილი და მაშნერის სამხედრო მუსიკის ხოროს მიერ დაკრული „დმიტრო, პფარ-ავე მეფეს“. მერე ადღეგრძელეს მინისტრი, მთავარ-მართვებელი შერმტებევი, გვირაბის გამყვანი რიძეებსკი და სტუმრები. უკანასკნელად ბატონმა რიძეებსკიმ დალია სადღეგრძელო ადგილობრივ ადმინისტრაციისა და გუბერნატორი შერვაშიძე ადღეგრძელა. კელავ მაშნერის მუსიკის ხორომ დაუკრა სადღეგრძელო მარში თავის მიერვე შეოხენული.

აიშალნენ სტუმრები. საათის ხუთხედ მთავარ-მართებელი საგანგებო მატარებლით დაბრუნდა უკან ტფილისს, შემდეგ მინისტრი გაემგზავრა ბათუმს და სხვანიც წავიდ-წამოვიდნენ.

ასე დამთავრდა სურამის გვირაბის მშენებლობა, რომლის საზეიმო გახსნაც მიჰყვნელოვნ მოვლენად იქცა რუსეთის იმპერიის სინამდვილეში. გახსნის დღე, 16 სექტემბერი, გამოცხადდა „პუნქტის ძალებზე გონიერისა და ტაქნიკის ზეიმადი“. ამ დღის აღსანიშვად

გამოშვებული იქნა სპეციალური მედიალი

სეურამის გვირაბის საერთო სიგრძე 3996 მეტრს შეადგენს. იგი თავიდანვე ორი ლიანდაგი სათვის იწნა გათვალისწინებული. მისი სიმაღლე 3,3 მეტრს უდრის. გვირაბს იმ დროისათვის აშენებდნენ არაჩვეულებრივი სისწრაფით – დღეში 10,67 მეტრი სიჩქარით. მისი მშენებლობა დაჯდა 110 089 402 მანეთი.

სურამის გვირაბის მშენებლობას დასჭირდა 15000 კუბური საჟენი ქვა, 80000 კასრი ცემენტი, 4000 კუბური საჟენი სილა, 10 ათასი ფუთი დინამიტი, 700 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე სიძაგრეებისათვის. გვირაბიდან გამოიტანეს 4 ათასი კუბური საჟენი გრუნტი, მთლიანად გვირაბის მშენებლობაზე დაისარჯა 17 მილიონი სამშენებლო მასალა, ხოლო გამოტანილი იქნა 40 მილიონი ფუთი გრუნტი.

მიერ გარდახდილ იქნა პარაკლისი და იკურთხა თლილი ქვის სვეტი /ობელისები/ იმის სახსოვრად, რომ 1888 წელს აქ ბრძანდებოდნენ გვირაბის დასათვალიერებლად, მათნი იმპერატორობითნი უდიდესულებობანი უავგუსტოვების შეიღებითურთ. ეს ობელისები დაუგდგამთ ინჟინერ სიმბერგის ზედამხედველობით, გვირაბის ახლოს. აგებულია ოქელისკენ თლილის ქვით, ათი საჟენის სიმაღლე აქვს უარწიფოდ. ოქელისკების თაგზე ბრინჯაოს თრ-თავიანი არწივია გაქოთებული. ერთ მხარეს ობელისებზე მიერულია თითბრის ფიცარი, რომელზედაც რუსულად აწერია, რის გამოც არის დადგმული ეს ობელისები".

ობელისკის გახსნას ესწერდოდა ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენატი შალიკოვი.

„პურთხევის „შემდგე, – აღნიშნავს „ივერია”, – საგანგებო მატარებლით მიწვეულნი წამოვიდნენ ხაშურს, სადაც გამართული იყო საუზმე”.
სურამის გვირაბის, როგორც სამამულო /რუსული/ საინჟინრო ხელოვების ნიმუშის, მშენებლობის ისტორია ყოველთვის იპყრობდა მაკ- ბერის, შემდეგ კი კავკასიური სამამულოს მიმდევარის, მაგრამ ამ დროის მატარებლით მიწვეულნი წამოვიდნენ ხაშურს, სადაც გამართული იყო საუზმე”.

ლურათა მხრიდან კურადღებას. ამიტომ მასზე
თავის დროზე დაიწერა და გამოქვეყნდა არაერთი გამოკვლევა, საუზრნალო და საგაზეო
სტატია, რომლებშიც ავტორები გადმოგვცემენ გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებულ
არაერთ საინტერესო მოვლენას და დეტალს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა
ავტორი /ვმარგველაშვილი, ლ-გუმილევსკი, მჩორგოლაშვილი, ვ-გურგენიძე და სხვები/ ეხ-
ბა გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებულ ლეგენდას, რომლის თანახმადაც გვირაბის
მშენებელმა ინიციერმა იმის გამო, რომ დათქმულ დროს არ მოხდა გვირაბის შეერთება
ვითომცდა ხაზების აცდების გამო, თავი მოიკლა. ხალხში გავრცელებული იყო ის აზრიც,
რომ სადწილის მხრიდან გვირაბის ახლოს აგებული ობელისკი სწორედ ამ ფაქტთან დაკა-
ვშირებით აიგო და აქ მოხდა ინიცირის დაკრძალვა.

ეს ლეგენდა დიდი ხნის მანძილზე განაგრძობდა არსებობას, ყოველშემთხვევისთვის 1893



წლიდან მაინც, ვიდრე მკვლევართა მიერ არ იქნა დადგენილი ჰეშმარიტება.

განსაზღვრებით უნდა აღინიშნოს მკლევარ კ. გურგენიძის დიდი ძალისხმევა საქითხის შესწავლისადმი. მან სპეციალური გამოკლევა მიუდღვნა

სურამის გვირაბის მშენებლობას, 146 გამოაქვეყნა არაერთი საგაზეო სტატია, უშვალოდ ესაცბრა მშენებლობის მონაწილეებს. სხვა საკითხებთან ერთად ნათელი მოცემისა დაგენერირებისასც. მან მოსახლეობაში მოიძიო გვირაბის მშენებელი ინჟინერთა სურათები, რომლებმც სხვებთან ერთად აღბეჭდილი იყო ფ. რიძევსიოც. ვ. გურგენიძემ წერილით მიძირთა ვარშავის რეინიგზის ხელმძღვანელობას, რომელთა დახმარებითაც მოიძებნა ძველი რეინიგზელი 90 წლის პენსიონერი ანტონ ლოგისკი, რომელმაც თავის მხრივაც დაადასტურა სურათებში ფ. რიძევსკის არსებობა და აღნიშნა, რომ სურამის გვირაბის მშენებლობის შემდეგ ფ. რიძევსკი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ვარშავა-ვენის რეინიგზის მმართველად. ასე, რომ მშენებელი-ინჟინერს თავი არ მოუკლავს ლეგენდა დარჩა...

შინდარა - გორათი - ზემო ჭალ

როგორც ზემოთ იყო აღნიშვნული, ხაშურის ზრდა და განვითარება მის გარშემო არსებული ძველი სოფლების – შინდარის, გორათის და ზემო ჭალის „ხარჯზე“ მოხდა. დღეს ეს სოფლები ხაშურის უპნებს წარმოადგენენ და ძველი სახელწოდებების ოდნავ ცვლილებებით ანუ მათზე მსახურებელის დამატებით – შინდარის უბანი, გორათის უბანი, ჭალის უბანი – ასე მოიხსენიათან.

საისტორიო წერილებში ეს სოფლები ხაშურთან ერთად გვხვდება და თითქმის ერთ პერიოდიდან მოიხსენიებიან, თანადროულები არიან. ოუმცა ყველა მათგანს თვითით ისტორია გააჩნია და მათთან არაერთი საინტერესო მოვლენაა დაპავშირებული საქართველოს ისტორიიდან.

შინდარა. ერთ-ერთი უძველესი სოფელი დღეს კი ხაშურის უბანი, მდებარეობს მის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.

შინდარა XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ხშირად მოიხსენიება ძველ ქართულ საისტო-რომ ძალაში. ჭართლის კათალი ღის თოროვეზე თავის ხავლეში რომელიც XVI საუკუნის

(გაგრძელება)

80-იან წლებს მიეკუთხნება, მოიხსენიებს შინდარას. კერძოდ, აღნიშვნავს, რომ მან იტრიის ღვთისმშობლის გელესიას შესწირა აქ მცხოვრები რამდენიმე გლეხი. შევტორე „შინდარას სკომინა და მისხი შვილი და მომავლი ბულაურის მამულითა მოლად. კიდევ შინდარას მარგულაშვილი ზარაპა, მისი შვილითა და მომავლითა და მესხიურის მამულითა მრთლად“ – ნათქვამია სიგელში.

1693 წლის ელენე დედოფლის სიგელის მიხედვით, აბაზა-
ძებს შინდარაში ჰყავთ ყმა გლეხი „აღაბეგაშვილი გოგინა
შინდარას“ – აღნიშნულია მასში.

ვაცუშტი ბატონიშვილი სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს მოიხსენიებს შინდარას. როდესაც იგი ლაპარაკობს სურამის შესახებ, მისი გეოგრაფიული მდებარეობის დასაზუსტებლად იშველიებს შინდარას და წერს, რომ „... შინდარის დასავლეთით არს სურამი, მცირე ქალაქი“.

უნდა შევნიშნოთ, რომ რეკაზე ვ-ბატონიშვილს შინდარა დატანილი აქვს შინდის ფორმით.

1715 წლის რუისის საწყებოს დავთოის მიხედვით, აქ 18 საეკლესიო გლეხი ცხოვრის, რომელთაც გარევეული გადასახადი აქვთ დაკისრებული რუისის ეკლესიის სა-სარგებლოდ. დავთოის მიხედვით, შინდარაში სახლობდ-ნენ შემდეგი გვარები:

„ქ. ქოტიშვილი ნასყიდა: საწირავი აძეს:

- ქ კვეთიაშვილი გივი
ქ სვიმონაშვილი ოვანა
ქ ბედიანაშვილი ზაქარია
ქ ბედიანაშვილი გიორგი
ქ ბედიანაშვილი ალექსი
ქ კვახიაშვილი გიორგი
ქ ლომინაშვილი გელია
ქ ლომინაშვილი ბეჭუა
ქ ლომინაშვილი დათუნა
ქ ლომინაშვილი ზაზა
ქ მაზაძე ბერი
ქ კუსრაძე ბერი:
ქ ბოლოპაძე დათუნა
ქ ნიქოზელი გიორგი
ქ ნიქოზელი ბიძინა
ქ ნიქოზელი ბერუა
ქ ნიქოზელი ოთარი.

1728 წლის ობილისის ველაიურის დიდი დავთრის მიხედვით, შინდარა კარგად დასახლდებული ჩანს. აქ 83 კომლი (კაცი) სახლობს და მოზრდილი სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს მიწის დღიური მულობელი იყო 150 კაცი

ბერება ძე გიორგისა გოდერძა ძე მისი
ფრცხვერა ძე ზაგასი შემაზან მმა მის
გიორგი ძმა მისი ლაზა ძე კოქინას
ბიჩინა ძე შეუსია თანდილა მმა მის
ოთარა ძე ბაბუნასი ნიკოლოზ ძე ავთ
გიორგი ძე კასურისა ბათა ძმა მისი
თამაზა ძე ბაბუნასი იასე ძე სექნასი
კოჭია ძმა მისი ბაბა ძე შოშიასი
თამაზა ძე მამუკასი ბირა ძმა მისი
დათუნა ძე ლომინასი მამუკა ძე დათუნასი
კათია ძე მირიანისა დათუნა ძე მამუკასი
გივი ძმა მისი თამაზა ძე გიორგისა
ბაჩუა ძე ლომინასი კაზარ ძე სამურისა
ბაჩუა ძე ნეკრიასი ზაქარა ძე დათუნასი
ბერია ძე ლომინასი ბანდალია ძმა მისი
გიორგი ძე მისინჯოლოზ ძე ავთანდილისა
გელია ძე ლომის ბათა ძმა მისი
დილისან ძე ბაბუ იასე ძე სექნასი
ივანე ძე მისი ბაბა ძე შოშიტასი
გიუნი ძე ბათასი ფირუნ მმა მისი
ბერი ძმა მისი მამუკა ძე დათუნასი
ივანე ძე ბადიარ დათუნა ძე მამუკასი
გურგენა ძე საბა თამაზა ძე გიორგისა
ბერიკა ძმა მისი ბერი ძე დიმიტრისა
გივი ძე ბირასი კაზარ ძე სამურისა
გიგუა ძე ბირასი ზაქარა ძე დათუნასი
ბეჯინა ძე ზაქარ გიორგისა
ბერია ძმა მისი გიორგი ძე ბერუსკასი
დოკლათა ძე ლევანასი

ჯერ მოკლედ შევეხსოვ საკითხის ისტორიოგრაფიას, ხოლო შემდეგ აჯანყებასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და მის მიმდინარეობას.

1260 წლის დეკემბერში, მონდოლების წინააღმდეგ და-
ვით ულეს აჯანყებას არაერთი ქართველი ისტორიკოსი
შეეხო. გარდა აჯანყების მსვლელობის მიმართ გამოჩე-
ნილი ინტერესისა, მათი ყურადღების საგანს ყოველთვის
წარმოადგენდა აჯანყებულ ქართველთა და მონდოლთა
ბრძოლის ადგილმდებარეობის გარკვევა და დაზუსტება.
ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მკვლევარები სპე-
ციალურად ახდენდნენ ამ ბრძოლის გორის მიდამოებთან
(ამ შემთხვევაში გორის შინდარასთან) დაკავშირებას. უბრალოდ არ ახდენდნენ ქამთადმწერლის სიტყვების
„შინდარას გორისას“ შინაარსის გაზრებას და აქედან
გამომდინარე, მისი მდებარეობის დაკონკრეტებას. შემდეგ
კი ერთი ავტორის ნაშრომიდან მეორე ავტორის ნაშრომ-
ში მექანიკურად გადადიოდა ერთხელ უკვე ბრძოლის
მცდარად გაგძლეული ადგილის მდებარეობა.

ივანე ჯავახიშვილი, როცა აღნიშვნული აჯანყების შესახებ საუბრობს, უამთაღმწერლის ტექსტი მიჰყება და მიუთითებს, რომ „...არღუნი თავისი ძალით „გორის შინდარას“ დაბანაკდა.“

როგორც გხედავთ, იფ. ჯავახიშვილს ქამთააღმწერლის „შინდარას გროვისასა” შეცვლილი აქვს „გორის შინდარად”, თუმცა იგი აქ ბრჭყალებს არ ხსნის. ამით იფ. ჯავახიშვილი მიგვნიშნებს, რომ იგი ქამთააღმწერლის ტექსტს მაჲვყება, თუმცა ისიც ჩანს, რომ მას ამ მიმართულებით რაიმე სპეციალური კვლევა არ ჩაუტარებია.

შოლისის ორთან დამარცხების შემდეგ, მონ-
ღოლებმა, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „...ლტოლვით უშვე-
ლეს თაგეს და „შეიხუერნეს რაზმსა, შინა არღუნისასა,
შინდარის გორისასა” აქ, როგორც კეყდავთ, ივ. ჯავახ-
იშვილი მთლიანად იმეორებს ქამთაღმწერლის სიტყვებს
და კელავ არ ახდენს „შინდარას გორისასა” მდებარე-
ობის დაკონკრეტებას.

შემდეგ, როცა, ივ. ჯაგახიშვილი ეხება აჯანყების თარიღს, იგი აცხადებს: „უამთადმწერლის აღწერილობითგან ცხადი ხდება, რომ ახალდაბასა და გორის შინდარას ბრძოლა დეკემბერში მომხდარა”.

ამ შემთხვევაში იყ. ჯაგახიშვილი უკვე გარკვევით წერს, რომ მონაცემებსა და ქართველებს შორის ბრძო-

ლა მოხდა ახალდაბასა და გორის შინდარაში. თუმცა ამ უკანასკნელის მდგბარეობას კვლავ არ აკონკრეტებს. სხვაგან, მხედალეობაში გვაქვს საქართველოს ისტო-

რიის ძევლი სახელმძღვანელო, რომლის შესაბამისი ნაწილი, კერძოდ, XI-XVსს ისტორია, ივანე ჯავახიშვილის მიერაა დაწერილი, აღნიშნულია, რომ „... სარგის ჯავალს და დაგით VII-ს დიდი შეცდომა მოუყიდათ, რომ ვიწროებიდან გამოვიდნენ, თავიანთი მცირერიცხოვანი დაშქარი გამოიყვანეს და თავისზე გაცილებით უფრო მრავალ კუთხის მახასიათით ასაკის მასში მისამართის

რიცხოვას მოწინააღმდეგებს ახალდაბასთა შეკრძოლებს.
ახალდაბასთან დიდი და სისხლისძეველი ბრძოლა
მოხდა, რომლის დროსაც, როგორც მოსალოდნელი იყო,
სამართლის უკანასკნელი VII მარტისათვეს.”

სარგის ჯაევლი და დავით VII დამარცხენებ".
როგორც ეხედავთ, ამ შემთხვევაში იყ. ჯავახიშვილი ბრძოლის ადგილს აკონკრეტებს და მიიჩნევს, რომ ეს ბრძოლა მოხდა მარტი ახალდაბასთან. ეს გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის დიდი მეცნიერის „ქართველი ერის ისტორიის" შესაბამის ტექსტთან, სადაც ბრძოლის ადგილად ახალდაბასთან ერთად დასახელებულია „გორის შინოარაუ".

6. ბერძნებიშვილი 1958 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესაბამის თაგში აღნიშვნავს: „ომი დავით გორგაის ძის ჯარს და არღუნ ხოდის შემორჩებელ პერიოდის აღნიშვნაში მოუმოძღვა მოხდა.”

იგივეს აღნიშნავს 6. ბერძენიშვილი მისივე რედაქციით
გამოსულ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღ-
ვანელოში: „ომი აჯანყებულ მეფესა და ყავნის ლაშქარს
შორის 1260 წლის აღრის მითითობში მოხვა”

იგივეს იმეორებს პროფ. დ. გვრიტიშვილი წიგნში
ნარ კავაბდი საქართველოს ისტორიითან (XIII-XIV საუკუნეები).

„აღმოროვი გრცლად გადმოგცემს განვითარებულ მოვლენებს მიუთითებს, რომ „არღუნი სურამში დაბინავდა“ მაგრამ შემდეგ როგორც აღმოჩნდა არღუნი და როგორ ადრე მოვალეობა და სურამში შემდეგ არღუნი და როგორ

გაითაროთ მოხდოლთა და ქოროველთა მორის გადაძვევები ბრძოლა „გორის შინდარას“ ამაზე შინდარას ამაზე მკვლევარი არაფერს ამბობს. მკვლევარს მიჰყავს უამთა-აადმწერელისდ ის ადგილი სადაც საუბარია ტაშისკარ-თან დაბრუნების შემდეგ მონალები როგორ განერ-იდნენ ბრძოლის ველის და „შეიხუეწნეს რაზმთა შინა არღუნისასა შინდარის გორისას“ სწორედ ამის შემდეგ მკვლევარის მიხედვით გადამზევები ბრძოლა გაიმართა გორის შინდარაში. ამას იმდენად დაბჯითებით ამბობს მკვლევარი, რომ არანაირი ეჭვი არ შეაქვს სურამში დაბანაქვეულ არღუნი როგორ ადმონჩდა გორის სიახ-ლოვეს, შინდისში (გნებავთ შინდარს გორის სასახლი).

თამაზ ლაცაბიძე



იმპერატორის სტუმრობა ხაშურში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დრო, როგორც სასურველი რესურსი

ჩვენ, ადამიანები, კაცობრიობის დასაბამიდან ვცდილობთ ევოლუციას, როგორც პიროვნულს, ასევე მენტალურს, ცნობიერების - ესოს გაღრმავებას, სულის სიმშვიდეს, შეხედულებებს, გრძნობებს, ურთიერთობებს სათუთად ვუფრთხილდებით და ხორცს ვასხამთ პიროვნებას, რომელიც არამარტო ჩვენთვის უნდა იყოს მისადები, არამედ სოციუმთანაც იძღვნად სწორად წარმოვაჩინოთ, რომ ჩვენი დაწლი და მოღვაწეობა დასაფისებელი და კომპეტენტური გავხადოთ. ჩვენი მოვალეობები გამოიხატება იმაში, თუ როგორ აღვიქვამთ სიტუაციას და რა თვალით ვაჟასებთ მას. იყო ადამიანი, ნიშანავს იყო კომპეტენტური კომბინირებული არსება- მშობელი, მეგობარი, დიპლომატი, ხალხის სათავეში მყოფი პირი, რომელიც არამარტო შენს სიცოცხლეზე, არამედ ასეულობით ადამიანის მომავალზე იღებ პასუხისმგებლობას და უზრუნველყობ მათ, თუნდაც სულიერ სიმყუდროვეს და ეკონომიკურ მდგომარეობას, ეს კი ნიშანების მიას, რომ შენ ხარ ამ წრედში შეა წერტილი, რომელმაც თანაბრად უნდა მოახდინოს რეაგირება ყველა რადიუსზე. ჩვენ ცხოვრებას ქმნის ის ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემორა. არსებობს ასათვისებელი და აუთისებელი რესურსები, ასეთად მივიჩნევ კანონზომიერებაში არსებულ ცნებას-დროს. ნებისმიერი პრაგმატიული პიროვნება იტყვის, რომ დროის საზომი არის საათი და ის აბსოლუტურად მართალი იქნება. დროს ნამდვილად საათით ვზომავთ. მაგრამ, პრატიკული ასპექტის გარდა, აქ რაღაც უფრო ღრმა უნდა იმაღლებოდეს. დრო გადის, იცვლებიან ადამიანები, გარემოებები, პრობლემები, მიზნები, მეფეები, პრეზიდენტები, რეება მხოლოდ სახელები, წარსული. რა აერთიანებს ნეანდერტალელს და პომო საპირესებს? მალაიზიერდესა და ქართველს, ამებასა და სპილოს, მეეზოვესა და ეკონომისტებს, რადიკალ ისლამისტებს და მშვიდ ბუდისტებს? - დრო. დრო ერთი დიდი თასია, სადაც ყველა მოვლენა, უმნიშვნელოც კი, ყველა ცოცხალი არსება იყრის თავს. თუ დროის ფეხომენს რაციონალურად მიეცდებით, მაშინ დავეუფლებით უდიდეს ძალას. ყველას გვიფირია, რომ არ არსებობს რამ, რასაც დასასრული არ გააჩნია, სწორედ დრო არის ის რესურსი, რომელსაც მართლაც არ გააჩნია დასასრული. გვინდა თუ არა ეს, ყოველთვის ვცდილობთ, რომ დაგვწიოთ ან მინიჭებ შევეგურო მაინც და მოვერგოთ იმ სიტუაციას, დროს, რომელიც იმ კონკრეტულ ქამს დგას. დროს ადამიანები სხვადასხვანირად აღვიქვამთ, გარდა ამისა, დღის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე შეგვეცალოს აზრი, ეს კი დამოკიდებულია სხვადასხვა მიზეზებასა და ფაქტორებზე როგორიცა: ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ჯანმრთელობასთან ასოცირებული პრობლემები, ასაკი და ა. შ. რაც უფრო გვემატება წლები, მით უფრო სწრაფად გადის დროც და უფრო მეტადაც



ვაფასებთ მას. ვაჯამებთ თუ რისოვის გვაქს განკუთვნილი, ერთადერთები ნაბომარი დრო და მომენტი გახარჯული. განა იყო შედეგიანი და სწორად დაგეგმილი? დრო ის პირობითი განზომილებაა, რომელსაც ადამიანები ვერც ვაჩერებთ და ვერც ვემორილებით. არც კი ვიცით საიდან იწყება და მაშინაც კი, როცა გვგონია, რომ დრო კიდევ გვაქს, ის

შეიძლება უეცრად ამოგებენ უროს. როგორც შოპენიაუერი ამბობდა, “საშუალო ადამიანი იმაზე ზრუნავს როგორმე დრო მოკლის, ნიჭიერი კი მის გამოყენებას ესწრაფვის”. სწორედ ამიტომ გვჭირდება ადამიანებს მისი მიზანდასახულად გაზომვა, დაგვეგმვა და სარგებლიანად გამოყენება, რადგან ერთადერთი, რის შემთხვევით შეიძლება აღმარისობა და როგორც კი ეს შანსი გვეძლევა, მისი საფუძლიანად ათვისება უნდა შევძლოთ. თოთოეული დეტალის გარეშე, ჩვენი ყოველდღიურობა სრულიად სხვანაორი იქნებოდა. ბევრ ჩვენგანს შეიძლება, უბრალოდ, წარსულში უმოქმედობის ან მცდარი ნაბიჯების გამო, ხელი პქნონდეს ჩაქნეული მომავლის



დაგეგმარებაში, ამ დროს საჭიროა, არ მივეცეთ თვითგვემას, დეპრესიას, მელანქოლიას და სხვა გარემო ფაქტორებს, რაც ორმაგად გაგვიმძაფრებს სურათს და გაგვიუფასერებს მოტივაციას. წარსულს ვერაფერს ვუშველით, მაგრამ მომავლის შეცვლა აწმოს დამარცხებითა შესაძლებელი, სადაც ჯერ კიდევ გვეძლევა შანსი ვიყოთ კომპეტენტურები, ადეკვატურები, მოაზროვნები და ის დრო, რაც ასათვისებელი გვაქს ძველებურად ფუჭად არ გავხარჯოთ, რათა მინიატურულ ლურსაბებად არ ვიქცეთ. ის გამორტქმაც გაგიგიათ ალბათ: “თუ არ ვითარდები, ესეიგი კვდები”. ამიტომ გამოვიწვიოთ ჩვენი თავი, გამოვფხიზდეთ, ჩვებდაუჭიროთ დარჩნილ წუთებს და გავანალიზოთ, რომ დრო ჯერ კიდევ გვაქს! არასოდეს ვიყოთ მინიმალისტები და უამბიციონები, სწორედ ასეთი მიღვმა მიგვიყვანს იქ, სადაც ჩვენი თავი ბევრისთვის სამაგალითო, მისაბაძი, მოტივაციის წყარო გახდება, ხოლო ჩვენ კმაყოფილები ვიქნებით ნაყოფიერი შედეგებით და იმით, რომ ჩვენი სწორად შეფუთული, დაგეგმილი ნაბიჯებით და დროის კომბინირებულად გადანაწილებით შევძლით ჩვენი ყოფა მეტად მრავალფეროვანი, ტექნიკამენტული და, რაც მოვარია, სარისხიანი გავხადეთ. „დრო მიფრინავს“, „ძვირფას დროს გაპრგავთ“, „დროს უკან ვერ დაიბრუნება“... კიდევ მრავალი გამონათქვამი არსებობს, რომლებშიც ჩანს, რომ დრო ყველაზე ღირებულია, რაც კი ადამიანს აქვს, ყოველი დაგეგმილი და ორგანიზებული წუთი მოგებული საათია. დრო უფასოა, მაგრამ ძალიან ძვირი დარღვეული და კიდევ მრავალი გამოიყენო, მას ვერ იქნიება, მაგრამ შეგიძლია დახარჯო, და თუ დაკარგება - მაშინ ჩაოვალე, რომ საკუთარი თავი დაკარგება. ყველა ადამიანი, ვინც დროის ფასი იცის - დროის საზომია. ფრანკლინმა თქვა: “დრო ფულია”, მაგრამ ჩემი აზრით, დრო ფულზე მეტია. დაკარგული ფულის ანაზღაურება შეიძლება, მაგრამ დროს ვერ დაგაბრუნებოთ! ნუ იწურებთ, რომ დრო არ გყოფნით, ნუ იტყვით, რომ ოცდაოთხი საათი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ თქვენი მოვალეობებიც შეასრულოთ და თავისუფალი დროითაც დატკბეთ. ყოველდღიურად თქვენ ზუსტად იმდენი წამი, წუთი და საათი გაქვთ, რამდენიც პქნებათ მიქელანჯელოს, დოსტოევსკის, სტივ ჯონს, ილია ჭავჭავაძეს, შოთა რუსთაველსა და სხვა არაერთ გენიოსს. ხოგადად, რასაც დროის ფლანგვას ვუწოდებთ, ჩვენი ნიჭის, შესაძლებლებების გამოუყენებლივად, მათ კი შეძლეს, გამოიყენებ, დააფასებ დრო და დრომაც დააფასა ისინი. უქმად დაკარგული დროის პატრონი დამნაშავეა...!

ნატა რაზმაძე

შეღება ახალი ნიგნის პრეზენტაცია

საბიბლიოთეკო გაერთიანება აგრძელებს რუბრიკას „საჩუქარი ბიბლიოთეკას”, რომლის ფარგლებშიც შემოგთავაზებთ ბიბლიოთეკასთვის ნაჩუქარ წიგნებს მოკლე ანოტაციით.

ამჯერად შემოგთავაზებთ ბატონ მურად მოვარელიძის მიერ ნაჩუქარ წიგნს „კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი“

„ბიოგრაფიულ რომანშიც „კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი“ მხატვრულად არის წარმოდგენილი ქართველი მამულიშვილის - დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოგვაწობა. წიგნშიც ცოცხლდება ყველა ის მნიშვნელოვანი გეიზოდი, რითაც ასე ქვირფასი და ახლობელია წმინდანად შერაცხილი დიდი მოღვაწის სახელი. რომანი წარმოადგენს დოკუმენტური პროზის ნიმუშს. ის თანაბრად დააინტერესებს ყველა თაობის მეტოხებს, მათ, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო და მისთვის მსხვევლადშეწირული ადამიანები.“

2 თებერვალს, 16 საათზე, მთავარი ბიბლიოთეკის გვერდზე, გვექნება წიგნის „კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი“ წარდგინება ონლაინ რეკომენდით. ასევე, შეგეძლებათ წიგნის შეძენა.

კულტურული ბატონ მურად მოვარელიძის ახალი წიგნის დაბადებას და ისევ მაღლობების ფოთ საჩუქრისათვის!

წიგნი - ჩვენი საუკეთესო მეგობარია!

სარად გთვალისწინება



კაცი ხასიათისა-
დიმიტრი ყიფიანი

- ხელოვნება -**კახა მურადაშვილი: ქანდაკება-ზე მუშაობის პროცესი ლექსის წერას ჰგავს...**

ცოტა ხნის წინ, სურამში, მიხეილ მურვანიშვილის ბიუსტი დაიდგა, მი ღვაწლის და დამსახურების გამოსახატავად, რაც მას სურამის და მთელი საქართველოს წინაშე მიუძღვის. მაგრამ ძალიან ცოტამ



თუ იცის და ცოტა თუ იცნობს სურამელ ნიჭიერ მოქანდაკეს, კახა მურადაშვილს, რომელსაც ეკუთვნის მურვანიშვილის ბიუსტი. როგორც ხელოვანი, ძალიან საინტერესო ნამუშევრებს ქმნის, მუშაობს ქვაზე და ხეზე. წესებს იმაზე, რომ სხვადასხვა მიზეზებით, მისი პროფესია, ნაკლებად მოთხოვნადია დღეს და მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობა უწევს:

— ძალიან ადრე ასაკიდან დავიწყე ძერწვა, შვიდი წლის ვეოფილვარ, მშობლებმა რომ შეამჩნიეს ჩემი ნიჭი და გადაწყვიტეს მაშინდელ პიონერთა სასახლეში მივეყვანე. იქ იყო ქანდაკების კაბინეტი, საკმაოდ ცნობილი პედაგოგი ასწავლიდა. ჩემი მშობლების დამსახურება, რომ

ხელი შეუწყეს ჩემს განვითარებას, ხელი წლის განმავლობაში, ყოველ კვირა დღეს სურამიდან თბილისში დავდიოდი, რაც არ იყო ადვილი, როგორც ფინანსური, ისე დროის თვალსაზრისით. პიონერთა სასახლეში სისტემატურად ეწყობოდა გამოფენები, წელიწადში ერთხელ, თხო ქვეყანას შორის ტარდებოდა შემოქმედი ბავშვების გამოფენა, საიდანაც შვიდი სიგელი მაქს მიღებული, რაც ძალიან დიდი სტიული იყო. მეცხრე კლასში უკვე ნიკოლაძების სახელობის 92 წელში, როცა ქვეხა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, გადაწყვეტილება არ შემიცვლია და ისევ ხელოვების სასარგებლოდ გაგეოთ არჩევნილ საგანგებო არჩევნილ საგანგებო აკადემიაში ჩავაბარე. საგანმანათლებლო სისტემა მოთლიანად

მოშალა, ლექციებიც არ ტარდებოდა. აღმოჩნდა, რომ პროფესიული ცოდნა ნიკოლაძეში მივიღე. აკადემიის დამთავრების შემდეგ, მცდელობა მქონდა, წაგსულიყავი საზღვარგარეთ, თუმცა, მივხვდი, რომ თავის დამკიცირება და რეალიზება ძალიან გამიჭირდებოდა.

— როგორი იყო თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება?

— ძალიან ნაკლები დაინტერესება იყო ჩვენი დარგის მიმართ, შესა-

ბამისად, შემოქმედებითი პროცესიც ძალიან დუნედ მიმდინარეობდა, როგორც ხელოვანი, ვერ ვვითარდებოდი, რადგან ყველაფერი მაინც ფინანსურ დეტალებამდე მიდის. დიდი წყვეტა მაქს ხოლმე ნამუშევრებს შორის, თუმცა, სახლში, ჩანახატების დონეზე, ყოველთვის ვმუშაობ.

— მუშაობის პროცესი, ალბათ, ძალიან საინტერესოა...

— პროცესი ძალიან საინტერესოა, ლექსის წერას ჰგავს, თუ არ გაქვს ჟესაბამისი განწყობა, დამოკიდებულება, ვერაფერს შექმნი-ეს ყველა ხელოვანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— როგორც ვიცით, ეპარქიისგან გჯონდათ მიწვევა...

— დიახ, ხაშურ-სურამის ეპარქიასთან ვთანამშრომლობდი, როცა დაჭირდათ, ქვაზე კეთა, დამიკაგმირდნენ, ვისწავლე ხეზე მუშაობაც, არ გავერებულვარ, როგორც ხელოვანი. პროცესი არ შემიჩერებია და ამაში რეალიზება შევძლი, თუმცა, ამაში მატერიალური ინტერესი არ ყოფილა და ყოველთვის ქველმოქმედების ფორმა ჰქონდა.

— როგორ ფიქრობთ, რაშია პრობლემა, რომ დაინტერესება ნაკლებია ქანდაკების მიმართ?

— ეს არის ქვეების ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიბმული. როცა მე ჩავაბარე, საბჭოთა კავშირის დროს, სისტემა აწყობილი იყო, მხატვართა კავშირის წევრობა, უკვე ნიშავდა მატერიალურად უზრუნველყოფას. თუ გჯონდა ნიჭი, ყველა გზა გახსნილი იყო, სხვა ქვეყნებისაც კი. ვინც იქმდე, რამე კავშირები შექმნა, იმან კიდე მოახერხა რეალიზაცია და ადაპტაცია სხვა გარემოსთან. თან ქანდაკება, საკმაოდ ძირი სიამოვნებად და შესაბამისად, დამაკვეთების და დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა ცოტა, რასაც ვერ ვიტყვით, სხვა განვითარებულ ქვეყნებზე. ამიტომაა, რომ ჩემი ნამუშევრების უმრავლესობა გაჩუქრებულია.

— თქვენ მიხეილ მურვანიშვილის პორტრეტი საჩუქრად გადაეცით სურამს, ამის უკან პატარა ისტორიაა, როგორ მოხდა, მოგვიჟურით...

— ლადო გოგოლაძემ გამაცნო მიხეილ მურვანიშვილის შვილიშვილი, ეს მოხდა ჯერ კიდევ 2014 წელს, რომელსაც სურმაზე კავლევები ქონდა და სურდა მის კულტურულ განვითარებაში შეეტანა წვლილი. მასთან კომუნიკაციის დროს, გამიჩნდა სურვილი, გამეცემულებინა პორტრეტი და მეტუქებინა სურამისთვის, ერთგვარი ვალი იყო ჩემი მხრიდან სურამის მიმართ, ამ ადამიანის ღვაწლის მიმართ. გამომიგზავნა ფოტო, თუმცა ოთხი წლის განმავლობაში ერაფერი გავაკეთე.


— რა მასალა გამოყენებული?

— თიხაშია შესრულებული და ბრინჯაოთია დასრულებული. ძალიან როგორი სამუშაო პროცესი იყო, რადგან შვილიშვილსაც არ ახსოვდა, როგორი იყო ფიზიკურად. 2018 წელს გამოვდერწე და საკმაოდ კარგი გამოხმაურება მოჰქმდა. ეს არის უკვე დასრულებული ვარიანტი, ბრინჯაოში ჩამოსხმული. თბილისში წავიდე, ამის ოსტატებიც ცოტანი არიან. არ შემიძლია, არ აღვინიშნო ჩვენი მაურიტარი დეკუტატის, ზაღალ დუღლაძის დამსახურება, როგორმაც ფინანსური დახმარება გაწია. ეს ნამდვილადაა ის საქმე, რომელიც თაობებს შეახსენებს მურვანიშვილის პიროვნებას და დამსახურებას...

მისი შემოქმედების ნახ-

ვის შედეგ, დარწმუნდებით, რამდენად საინტერესო ხელოვანთან გვაქს საქმე. თუმცა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, სამწუხაროა, როცა ისეთი სკულპტორი, როგორიც ჩვენი რესპონსიური, ბოლომდევნებით რესპონსიური, მეტასტატიური, გამოიქმნება და გამოიქმნება გამარტინიული და ასპარეზი ექნებათ.

თ. ჯავახიშვილი



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქ. №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

მონიშნული სტატია იძებლება დაკვეთით

გაზეთი იძებლება თბილისში.